

ინგლისური  
ენა


12

# New Wave

მასწავლებლის წიგნი

ლია გოქსაძე  
თამარ ფალავა

კონსულტანტი ბრიტანეთის საბჭო

 ოცდამეერთე

## შინაარსი

რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ.  
სახელმძღვანელომ წარმატებით გაიარა პილოტირება საქართველოს სკოლებში.

ინგლისური ენის მე-12 კლასის სახელმძღვანელო  
New Wave  
მასწავლებლის წიგნი  
ლია გოქსაძე, თამარ ფალავა

კონსულტანტი ბრიტანეთის საბჭო

დიზაინი: გიორგი ტაბლიაშვილი

სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილები:

1. მოსწავლის წიგნი
2. სავარჯიშოების კრებული
3. ტესტები
4. მასწავლებლის წიგნი
5. 1 კომპაქტ დისკი/აუდიოკასეტა

საავტორო უფლება ტექსტზე © 2008 ლია გოქსაძე, თამარ ფალავა  
საავტორო უფლება SOFT EJECT-ის სიმღერებზე დაცულია

ყველა უფლება დაცულია  
პირველი გამოცემა 2008

ISBN 99940-977-3-9

გამომცემლობა "ოცდამეერთე"  
ტელეფონი 877 742146 /152146  
www.bukia21st.ge

შესავალი .....	4
შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან .....	5
შინაარსისა და მიზნების რუკა .....	5
კომენტარები მოსწავლის წიგნთან დაკავშირებით .....	7
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები .....	9
გაკვეთილის დაგეგმვა .....	10
სანიმუშო გაკვეთილის სცენარი .....	11
შეფასების ფორმები და რეკომენდაციები .....	12
საკონტროლოების და ტესტების ნიმუშები .....	14
დანართი I: XII კლასის ინგლისური ენის სტანდარტი .....	16
მოსწავლის წიგნის სავარჯიშოების პასუხები და წანაწერები .....	22
ტესტების პასუხები .....	40

## შესავალი

სახელმძღვანელოს დანიშნულებაა მე-12 კლასის მოსწავლეებს მისცეს ინგლისური ენის ის ცოდნა და განუვითაროს ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების ის უნარ-წყვეები, რომლებსაც **ეროვნული სასწავლო გეგმა** მოითხოვს. ამ ძირითად მოთხოვნას ეფუძნება სახელმძღვანელოს კონკრეტული დანიშნულება - კომუნიკაციური და ინტერაქტიული მეთოდის გამოყენებით მე-12 კლასის მოსწავლეებში ინგლისურ ენაზე კითხვის, მოსმენის, წერის და ლაპარაკის პრაქტიკული უნარ-წყვეების განვითარება. გრამატიკის საკითხების და ლექსიკური ერთეულების სწავლა და სწავლება ხდება ასევე პრაქტიკული უნარ-წყვეების განვითარების ფონზე და მათთან ერთად.

ინგლისურ ენას დღევანდელ მსოფლიოში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა აქვს. მას იყენებენ სრულიად განსხვავებული ისტორიის, კულტურის, ასაკის და რელიგიის ადამიანები. ინგლისური საერთაშორისო შეხვედრების, კონფერენციების, ინტერნეტის ენაა. ინგლისური ენის ცოდნა აახლოებს სხვადასხვა ეროვნების მილიონობით ადამიანს და შესაძლებელს ხდის მათ შორის კომუნიკაციას. ჭვენი სახელმძღვანელოს მეთოდის და თემატიკა ამ ფაქტორსაც ითვალისწინებს და მასალას ხშირად კულტურათა დიალოგის ჩრილში მიანვდის მოსწავლეებს.

### სახელმძღვანელოს კომპონენტებია:

1. მოსწავლის წიგნი (Student's Book)
2. სავარჯიშოების კრებული (Workbook)
3. ტესტების კრებული (Tests)
4. მასწავლებლის წიგნი (Teacher's Book)
5. 1 კომპაქტ დისკი/აუდიოკასეტა

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა სირთულის დონის მიხედვით შეესაბამება ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ დადგენილი B1-ის და კემბრიჯის უნივერსიტეტის PET-ის დონეს (Pre-intermediate). სახელმძღვანელო როგორც სტრუქტურის, ისე სირთულის მიხედვით ლოგიკურად აგრძელებს მე-10 და მე-11 კლასების New Wave -ის სერიის სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალას.

**მოსწავლის წიგნი** სახელმძღვანელოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია. იგი შედგება 24 გაკვეთილისაგან (Unit). ერთი გაკვეთილი მოიცავს ოთხ გვერდს. გაკვეთილის სტრუქტურა და სასწავლო მასალის მიმდევრობა შემდეგია: ტექსტი, ლექსიკური სავარჯიშოები, მოსმენის სავარჯიშოები, გრამატიკა, ლაპარაკის აქტივობა და წერიტი დავლება. გაკვეთილს კრავს ერთი საერთო თემატიკა, ლექსიკა და გრამატიკა. ყოველ გაკვეთილში 10-12 სავარჯიშოა. მოსწავლეები ვარჯიშობენ როგორც ენის სისტემებზე (გრამატიკა, ლექსიკა), ისე ენობივ უნარ-წყვეებზე (კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, წერა). ყოველ ოთხ გაკვეთილს მოსდევს გამეორების გაკვეთილი (Revision Unit). მოსწავლეს ეძლევა საშუალება გაიმეოროს წინა ოთხი გაკვეთილის მასალა და გაიმყაროს ცოდნა. მოსწავლის წიგნის ბოლოს მოცემულია არანესიერი ზმნების სია და ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (Wordlist). **სასურველია, რომ მოსწავლეებმა სავარჯიშოები გადაინერონ რვეულებში და ისე იმუშაონ.** ეს სახელმძღვანელოსაც დაზოგავს და მოსწავლეებს წერის უფრო მეტ პრაქტიკასაც მისცემს.

**სავარჯიშოების კრებული**, მოსწავლის წიგნის მსგავსად, შედგება 24 გაკვეთილისგან. გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოები და აქტივობები მოსწავლის წიგნის შესაბამის გაკვეთილში მოცემული მასალის შესატყვისია და გამოიყენება საშინაო დავალებებისთვის, დამოუკიდებელი მუშაობისთვის, ცოდნისა და ენობრივი უნარ-წყვეების განმტკიცებისთვის. ერთი გაკვეთილის მასალა მოიცავს ორ გვერდს. სავარჯიშოების კრებულის ყოველ ოთხ გაკვეთილს მოსდევს თვითშეფასების კითხვარები (**self-ssessment**), რომლებიც სავარჯიშოების კრებულის ბოლოშია მოთავსებული. კითხვარს მოსწავლეები დამოუკიდებლად პასუხობენ, შედეგებით კი - განსაზღვრვენ, თუ რა ცოდნას მიაღწიეს, რა უჭირთ ან რა იციან. თვითშეფასების კითხვარის სისტემატური გამოყენება და შედეგის მასწავლებელთან ერთად განხილვა მოსწავლეს სწავლის სწავლის უნარს უვითარებს და წინსვლის სტიმულს აძლევს. კრებულის ბოლოს მოცემულია სავარჯიშოების პასუხები. სასურველია, რომ მოსწავლეებმა სავარჯიშოებზე პასუხები თვითონ გადაამოწმონ და შედეგებზე ერთად იმსჯელონ გაკვეთილის დროს.

**ტესტების კრებული** შედგება 6 ტესტისგან. თითოეული ტესტი მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივი შემოწმებისთვის არის გათვალისწინებული (4 გაკვეთილი + ტესტი). ტესტები აგებულია მოსწავლის წიგნის შესაბამისი გაკვეთილების მასალაზე. ტესტები გამოიყენება განვლილი მასალის ათვისების ხარისხის დადგენის მიზნით (“საკონტროლო წერების” ალტერნატივა). ტესტების კრებული ინახება მასწავლებელთან და მოსწავლეებს ეძლევათ მხოლოდ ტესტის წერის დროს. ტესტების შედეგები მოწმდება უნიფიცირებული პასუხების სქემის (Answer keys) მიხედვით. შესაძლებლად მიგვაწვინია ისიც, რომ

ტესტები თვითშეფასებისთვისაც გამოიყენებოდეს: მოსწავლე, და არა მასწავლებელი, ამოწმებს საკუთარ ნამუშევარს მოცემული პასუხებთან და ინერს ქულას. მუშაობის ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თანატოლებთან ან მასწავლებელთან ერთად იმსჯელოს მიღწეულ შედეგებზე და იმაზე, თუ რაში დაუშვა შეცდომა და რაში უნდა იმეცადინოს, რომ მომავალში უკეთეს შედეგს მიაღწიოს. ტესტებში მოცემული გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები ენობრივი უნარ-წყვეების განვითარებას უწყობს ხელს. ეს პასუხობს თანამედროვე კომუნიკაციური მეთოდის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ენობრივი ასპექტების (გრამატიკა, ლექსიკა, ფონეტიკა) სწავლა და სწავლება პრაქტიკული უნარ-წყვეების განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. სავარჯიშოების ტიპები მოსწავლის წიგნში მოცემულის მსგავსია. ეს მასწავლებელს გაუადვილებს დამატებითი სავარჯიშოების შექმნას მოსწავლეების დონის და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით.

**მასწავლებლის წიგნი** მოსწავლის წიგნის მეთოდური თანმხლებია. იგი მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს როგორც მთელი სახელმძღვანელოს, ისე ცალკეული გაკვეთილის დანიშნულება და სტრუქტურა, მეთოდურად სწორად დაგეგმოს და ჭაატაროს გაკვეთილი, რაციონალურად გაანაწილოს გაკვეთილის დრო, მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების დროს გამოიყენოს უნიფიცირებული კრიტერიუმები, რაშიც მას ამავე წიგნში მოცემული პასუხები და ჭანაწერების ტექსტები ეხმარება. ჭვენი რეკომენდაციაა, რომ ერთი გაკვეთილი (Unit) სავარჯიშოების კრებულის მასალის ჭათვლით 4 აკადემიურ საათში დაიფაროს. ასეთ შემთხვევაში მასალის ტრიმესტრული განაწილება შემდეგი იქნება:

**I ტრიმესტრი (12 კვირა, 36 საათი): 1-8 Units + 1-2 Revisions + 1-2 Tests**

**II ტრიმესტრი (12 კვირა, 36 საათი): 9-16 Units + 3-4 Revisions + 3-4 Tests**

**III ტრიმესტრი (12 კვირა, 36 საათი): 17-24 Units + 5-6 Revisions + 5-6 (Final) Tests**

შესაბამისად, მასალა იფარება 36 სასწავლო კვირის და - კვირაში 3 საათის ჭატარების შემთხვევაში - 108 საათის განმავლობაში. ეს მოქნილი სქემაა და მისი შეცვლა მასწავლებელს შეუძლია გამოყოფილი საათების და მოსწავლეების მიერ მასალის ათვისების ხარისხის გათვალისწინებით. მაგალითად, კვირაში ორი საათის შემთხვევაში მასალა იფარება 72 საათის განმავლობაში (36 კვირა x 2 საათი), რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი გაკვეთილი (Unit) სავარჯიშოების წიგნის ჭათვლით 3 საათში, ანუ კვირანახევარში შეიძლება დაიფაროს. საათების მოცემული განაწილება მხოლოდ რეკომენდაციის სახეს ატარებს.

თითოეული გაკვეთილი ისეა აგებული, რომ მოცემული სავარჯიშოებისა და აქტივობების საშუალებით ხდება როგორც ოთხივე ენობრივი უნარ-წყვეის განვითარება, ისე ენობრივი სისტემების სწავლება და/ან განმტკიცება. სახელმძღვანელოში გამოყენებული მეთოდისა ინდივიდუალურ, წყვილებად, მცირე და დიდ ჯგუფებად მუშაობას ითვალისწინებს და მიმართულია მოსწავლის ცოდნის აქტივიზაციისაკენ. ამას ხელს უწყობს ის, რომ თითოეული გაკვეთილი - მასში მოცემული ტექსტები, კითხვის, მოსმენისა და წერის სავარჯიშოები - ერთი საერთო თემის (მაგ. ლიტერატურა, თინეიჯერების ცხოვრება, ოჯახი, ადამიანის უფლებები) ქვეშ ერთიანდება. გაკვეთილის თემა სათაურშივეა ასახული. გაკვეთილების მოცულობა და სტრუქტურა ერთმანეთის მსგავსია. გაკვეთილი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: კითხვა, ლექსიკა, მოსმენა, გრამატიკა, ლაპარაკი და წერა. ვიმეორებთ, რომ სასურველია, მოსწავლეებმა მოსწავლის წიგნში მოცემული სავარჯიშოები რვეულებში გადაინერონ და ისე იმუშაონ. გაკვეთილის შემადგენელი ნაწილების და შესაბამისი სავარჯიშოების დეტალური აღწერა შემდეგია:

**კითხვა (წაკითხულის გააზრება).** გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემულია ტექსტი (მონათხრობი, განცხადება, რეკლამა, წერილი, დღიური, ტურისტული ცნობარი, ნაწყვეტი ლიტერატურული ნაწარმოებიდან, გამოცენილი ადამიანების ცხოვრება). ტექსტების თემატიკა მრავალფეროვანია: ახალგაზრდის სამყაროდან და ინტერესებიდან - მულტიკულტურულ რეალიებამდე. კითხვის სავარჯიშოები ამოწმებს და ავითარებს ტექსტიდან დეტალური (ფაქტობრივი) ინფორმაციის ამოკრების ან/და ძირითადი აზრის გაგების უნარს. სავარჯიშოების სახეებია: 1. კონტექსტიდან გამომდინარე გამოიცანი უცნობი სიტყვების მნიშვნელობა; 2. ტექსტს/აზრას მიუსადაგე შესაფერისი სათაური; 3. ამოიცანი ფაქტობრივი ინფორმაცია: დრო, თარიღი, ადგილი, პერსონაჟი; 4. გამოიცანი დებულება სწორია თუ მცდარი და ა.შ. გამოიყენება ასევე კითხვის წინარე (**pre-reading**) სავარჯიშოებიც, რომლებიც მოსწავლეს კითხვისთვის ამზადებს და გარკვეულწილად მოცემული ტექსტის კითხვის სტიმულს აძლევს (მაგ. იმსჯელეთ მოცემულ საკითხზე, უპასუხეთ შეკითხვებს და ა.შ.). ამავე სერიის წინა დონის სახელმძღვანელოებთან შედარებით **საიხლე** არის ის, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისელ და ამერიკელ მწერლებს და მხატვრულ ლიტერატურას, ასევე მოსწავლეებში მხატვრული ლიტერატურის კითხვის უნარ-წყვეის განვითარებას. ამ სერიის სახელმძღვანელოში პირველად არის გამოყენებული ნაწყვეტები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, ან მოკლე მოთხრობები (გაკვეთილები 8, 16, 24).

**მოსმენა.** გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემულია ტექსტის (მონათხრობი, სიტუაციური დიალოგი, ინტერვიუ, რეკლამა) ჭანაწერი. ჭანაწერების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: ქართველი და სხვა ერების თინეიჯერების ცხოვრება და მათი ინტერესთა სფეროები; ცალკეული ქვეყნების

გეოგრაფია, ისტორია, ყოფა, კულტურა, ლიტერატურა და ა.შ. მოსმენის სავარჯიშოების წინაწერი გაკეთებულია ინგლისელების და ამერიკელების, ასევე ქართველების მიერ. მოსმენის სავარჯიშოები ამონებს და ავითარებს ტექსტიდან დეტალური ინფორმაციის ამოკრეფის ან/და ძირითადი აზრის გაგების უნარს. სავარჯიშოების სახეებია: 1. ამოიცანი ფაქტობრივი ინფორმაცია: პერსონაჟი, დრო, თარიღი, ადგილი; გამოიცანი დებულება სწორია თუ მცდარი; 3. უპასუხე შეკითხვებს; 4. დაასრულე აზრი. ზოგ შემთხვევაში გამოიყენება ასევე მოსმენის წინარე (**pre-listening**) სავარჯიშოებიც, რომლებიც მოსწავლეს წინაწერის მოსმენისთვის ამზადებს და, გარკვეულწილად, მოსმენის სტიმულს აძლევს (მაგ. ამოიცანი, მოცემული სიტყვებიდან რომელია გამოყენებული წინაწერში). უფრო ხშირად, ვიდრე ეს New Wave – ის წინა დონის სახელმძღვანელოებში იყო მოცემული, მოსმენის სავარჯიშოებში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სიმღერები. ვფიქრობთ, რომ ამგვარი სახის მოსმენის სავარჯიშოებს ახალგაზრდები განსაკუთრებული ხალისით შეასრულებენ. დაუშვებელია მოსმენის სავარჯიშოების უგულვებელყოფა. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლემ არ აქვს მაგნიტოფონის გამოყენების საშუალება, იგი ვალდებულია ან თვითონ წაიკითხოს წინაწერი, ან წააკითხოს იგი იმ მოსწავლეს, რომელსაც კარგი გამოთქმა და დიქცია აქვს.

**ლაპარაკი.** გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემული სავარჯიშოები ითვალისწინებს მოსწავლის მონაწილეობას რეალურ ან სიმულაციურ სიტუაციებში (**role play**). მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, მცირე და დიდ ჯგუფებში. ასეთი მეთოდიკის გამოყენების შედეგად მოსწავლეს უვითარდება ისეთი სამეცხველო უნარ-შედეგები, როგორცაა: 1. საკუთარი აზრის გადმოცემა და დაცვა; 2. დებატებში მონაწილეობა; 3. ინტერვიუს აღება; 4. ამბის მოყვლა; 5. პრეზენტაციის უნარი. მოსწავლე კომუნიკაციური მიზნებისთვის იყენებს გაკვეთილის სხვა ნაწილებში მოცემულ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას, ვარჯიშობს შეკითხვების დასმაზე, საკუთარი პოზიციის დაცვაზე, პრეზენტაციის მომზადებაზე და გაკეთებაზე; გაუგებრობის შემთხვევაში განმარტების მოთხოვნაზე, გრამატიკულად და ლექსიკურად სწორად საუბარზე და ა. შ. ამავე სერიის წინა დონის სახელმძღვანელოებთან შედარებით **საიხლე** არის ის, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეებში პრეზენტაციის უნარ-შედეგის განვითარებას. პრეზენტაციის სავარჯიშოები მოცემულია სისტემატური სახით ყოველ მეორე გაკვეთილში.

**წერა.** გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემული სავარჯიშოების საშუალებით მოსწავლე სწავლობს აზრის გადმოცემას ერთი აზრის მოცულობის ფორმატში (მაქსიმუმ 150 სიტყვა). მოსწავლე სწავლობს: 1. საშუალო სირთულის წერილის დაწერას ფაქტობრივი და თავაზიანი ფორმების გათვალისწინებით; 2. ტურისტული მეგზურის ან დღიურის დაწერას; 3. მოკლე თხზულების დაწერას; 4. აზრის თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემას; 5. საკუთარი და ჯგუფის პოზიციის წერილობით გადმოცემას. ყველა შემთხვევაში მოსწავლემ უნდა დაიცვას გრამატიკული, ორთოგრაფიული და ლექსიკური ნორმები. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეს წიგნივე ეძლევა **თემატური საწყისი წინადადება (topic sentence)** და საჭირო ლექსიკა. უმეტეს შემთხვევაში წერილი სავარჯიშო ლაპარაკის სავარჯიშო ლოგიკური გაგრძელებაა: მოსწავლემ წერილობით უნდა გადმოსცეს ის ინფორმაცია, რომელიც მას წყვილთან ან ჯგუფის წევრთან ლაპარაკის დროს დაუგროვდა. ამავე სერიის წინა დონის სახელმძღვანელოებთან შედარებით **მნიშვნელოვანი საიხლე** არის ის, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებულია წერილი სავარჯიშოების ისეთი ტიპები, რომლებიც მოსწავლეებში აწვითარებს წინაწერებზე დაყრდნობით თხზულების ან წერილის დაწერის უნარ-შედეგს.

**გრამატიკა.** პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული მასალა მოცემულია მაგალითებზე დაყრდნობით და კონტექსტის გათვალისწინებით. იგი ხშირად კომბინირებულია ლაპარაკის ან წერის სავარჯიშოებთან. ნაცნობი (წინა წლებში ნასწავლი) გრამატიკული მასალის მიწოდებისას გამოიყენებულია, უმეტესწილად, დედუქციის მეთოდი. მაგალითების დახმარებით მოსწავლე თვითონ, ან მოსწავლეების მცირე დახმარებით, “აღმოაჩენს” გრამატიკულ წესებს. ახალი გრამატიკული მასალის მიწოდებისას კი გამოიყენება როგორც დედუქციური, ისე ინდუქციური მეთოდი. სავარჯიშოების ტიპებია: 1. წაიკითხე ტექსტი და კონტექსტის გათვალისწინებით ზმნები წასვი სწორ ფორმებში; 2. დაასრულე მეორე წინადადება ისე, რომ იგი შინაარსობრივად პირველის მსგავსი იყოს; 3. მოცემული სიტყვებიდან ააგე წინადადება და ა. შ. გრამატიკული მასალა ხშირ შემთხვევაში იმეორებს წინა წლებში ნასწავლ მასალას. ამავე დროს, შემოტანილია ისეთი ახალი გრამატიკული მასალა, როგორცაა მაგალითად, ენის ფუნქციები, სიტყვათწარმოება, ფრაზული ზმნები.

**ლექსიკა.** ახალი სიტყვები მოსწავლეს მიეწოდება კონტექსტუალურად. კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლემ უნდა გამოიცნოს ახალი სიტყვის და ფრაზის მნიშვნელობა. გამოყენებულია შემდეგი ხერხი: ტექსტში გახაზულია დაახლოებით 6-8 ახალი სიტყვა ან ფრაზა. მოსწავლეს მოეთხოვება ფართო და ვიწრო კონტექსტზე დაყრდნობით მიხვდეს გახაზული სიტყვების და ფრაზების მნიშვნელობას. თარგმანის (ლექსიკონის) გამოყენება ან მოსწავლეების დახმარება ახალი სიტყვის მნიშვნელობის განმარტებისთვის დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლე კონტექსტუალურად ‘გრძნობს’ სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ უჭირს მშობლიურ ენაზე მისი ზუსტი შესატყვისის მოძებნა. სავარჯიშოების ტიპებია: 1. კონტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრე სიტყვის მნიშვნელობა; 2. წაიკითხე ტექსტი და გამოტოვებულ ადგილებში წასვი საჭირო სიტყვები; 3. თემატურად დააჯგუფე სიტყვები; 4. დაანვილე სიტყვები მათ

განმარტებასთან და ა.შ. **საიხლე** სიტყვათწარმოებაზე აგებული სავარჯიშოები.

**თემატიკა.** სახელმძღვანელოში გამოიყენება შემდეგი თემატიკა: განათლება (სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი), ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა და დიალექტური განსხვავებები ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის, ოჯახი, ისტორია, თანამედროვე ტექნოლოგიები, გამოცენილი ადამიანების ცხოვრება და შემოქმედება; მეცნიერება, ხელოვნება, თავისუფალი დრო, დღესასწაულები და სხვ. გათვალისწინებულია ქართული, ბრიტანული, ამერიკული და სხვა ქვეყნების კულტურული რეალიები, ასევე - 16-17 წლის ახალგაზრდების ინტერესების სფეროები.

მასწავლებელმა გაკვეთილი სწორი და თანმიმდევრული მეთოდიკით უნდა წარმართოს. მან სათანადო დრო და ყურადღება უნდა დაუთმოს გაკვეთილის ყოველ ნაწილს. დაუშვებელია გაკვეთილის რომელიმე ნაწილის გამოტოვება (მაგ. მოსმენის სავარჯიშოების) ან მეთოდურად არასწორად მიწოდება (მაგ. ტექსტში გახაზული სიტყვების თარგმანის წინასწარ მიცემა). მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები სავარჯიშოების ინსტრუქციის მოთხოვნის დამოუკიდებლად გააზრებას

გაკვეთილის სათაური	ენობივი კონსტრუქციები	ლექსიკა; თემატიკა	გრამატიკა	სწავლის შედეგები და ინდიკატორები
1	Dream holidays full of glamour reserve a hotel recreation resort	Pastime Holidays	Expressing quantity	უ.12.კ.4.; უ.12.კ.5; უ.12. მ.3; უ.12.ლ.2 უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.მ.3
2	Discover Georgia solve a problem a part-time job gain a skill	Resorts Business relationships	Reflexive and emphatic pronouns	უ.12.მ.3; უ.12.მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.მ.3;
3	The first European? experts estimate medieval church migrants settled	Cultural heritage	still/yet/ already	უ.12.კ.7.გ; უ.12.მ.1 უ.12.მ.4.; X1, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.მ.3
4	Finding a job accounting company part-tme job deadline for applications	Writing a CV Job opportunities	both/ei- ther/all/ none	უ.12.მ.2; უ.12.უ. X1, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.მ.3; უ.12.კ.7.ბ
<b>Revision</b>				უ.12.ს.1; უ.12.ს.2
<b>Progress test one</b>				უ.12.კ.1; უ.12.კ.4; უ.12.კ.7; უ.12.მ.1 უ.12.ს.1; უ.12.ს.2
5	My favourite book desert island my parents’ generation believe it or not	Education Literature	Past continuous/ used to/ was going to	უ.12.კ.4; უ.12.კ.5; უ. X1, მ.3; უ.12.ლ.2 უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.მ.3
6	William Shake- speare to stage a play a respected man diverse cultures	Life of the celebrities/ writers	Expressing pur- pose and contrast	უ.12.კ.5; უ.12. მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.მ.3
7	Have you read this book? a gold miner great ability conduct experiments	British and American authors	Expressing result	უ.12.კდ.1; უ.12.კდ.2; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.მ.3
8	Time to read this staff bores me a prep school quite touchy	Fiction	Phrasal verbs	უ.12.კდ.1; უ.12.კდ.2; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.მ.3
<b>Revision</b>				უ.12.ს.1; უ.12.ს.2

	<b>Progress test two</b>				უ.12.კ.1; უ.12.კ.4; უ.12.კ.7; უ.12.წ.1 უ.12.ს.1; უ.12.ს.2
9	My role model	dreaded sound outburst of anger idle chat	Favourite people as role models.	Infinitive and gerund (revised)	უ.უ.12.ლ.1; უ.12.კ.2; უ.12.კ.5; უ.12.წ.1, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.წ.3
10	Parents and children	dreaded sound outburst of anger idle chat	Family life Parents as role models	Future forms (revised))	უ.12, მ.3; უ.12.ლ.2 უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.მ.1 უ.12.წ.3; უ.12.კ.3
11	The best age to be	be rebellious be obliged different opinions	Personal life Likes and dislikes	Word order (revised)	უ.12.მ.1; უ.12, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.მ.3
12	Rules are rules	to ban to prohibit treat and be treated	Rules of behaviour at schools Teenagers lives	Prepositions of place/movement/time	უ.უ.12.კ.2; უ.12, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.კ.4
	<b>Revision</b>				უ.12.ს.1; უ.12.ს.2
	<b>Progress test three</b>				უ.12.კ.1; უ.12.კ.4; უ.12.კ.7; უ.12.წ.1 უ.12.ს.1; უ.12.ს.2
13	The story of Britain and its language	immigrate British and American accent originate	History Culture	Passive voice (revised)	უ.12.უ.12.კ.დ.1; უ.12.კ.დ.2 უ.12, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3
14	The future of English	languages change no doubt mass communications	Cultural identities/ diversities	Certainty and uncertainty	უ.უ.12.მ.2; უ.12.ლ.1; უ.12.ლ.3; უ.12, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3
15	America the beautiful	declare the independence significant date draft the document	Languages Expressing opinions	Conditional one and two	უ.12.კ.4; უ.12, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3
16	Time to read	a pair of shades apartment building take the subway	Fiction/ Literature	Obligation	უ.12.მ.3; უ.12.ლ.2 უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.წ.3
	<b>Revision</b>				უ.12.ს.1; უ.12.ს.2
	<b>Progress test four</b>				უ.12.კ.1; უ.12.კ.4; უ.12.კ.7; უ.12.წ.1 უ.12.ს.1; უ.12.ს.2
17	The seven wonders of the world	Mediterranean cost goddess of fertility immortalize the name	Seven wonders of the world Culture, History	Asking for and giving advice	უ.12.წ.1; უ.12, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.წ.2.

18	Stars	sidewalk stars today's blockbusters be inaugurated	Life of celebrities. Culture, Art	Asking for permission	უ.12, მ.3; უ.12.ლ.2 უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.უ.12.წ.4; უ.12.მ.1
19	Wedding traditions	an engagement ring bride-to-be evil spirits	Cultural diversity Traditions celebrities	Inviting/asking for direction/offering to do something	უ.12.მ.3; უ.12.ლ.2 უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.წ.3
20	Cultural calendar	longest-running show prestigious award keep an eye	Geography History Culture	Complex sentences (revised)	უ.12.კ.2; უ.12.მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.კ.2
	<b>Revision</b>				უ.12.ს.1; უ.12.ს.2
	<b>Progress test five</b>				უ.12.კ.1; უ.12.კ.4; უ.12.კ.7; უ.12.წ.1 უ.12.ს.1; უ.12.ს.2
21	Angry protests	be desperate be executed gang of men	History Human rights	Another/ other / the other	უ.12, მ.3; უ.12.ლ.2 უ.12.ლ.4; უ.12.კ.1 უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.წ.6; უ.12.მ.1
22	What are children's rights?	coal mines irrespective of vote for/against	Organizations protecting children's rights.	Articles (revised)	უ.12.კ.3, უ.12.მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.მ.1
23	Rare animals	endangered animals mother's pouch get/be reduced	Animals rights Environment	Making comparisons	უ.12.მ.ს/ბ.უ.12, მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.ლ.3
24	Time to read	entrance exclaim in surprise warm hug	Fiction	Prefixes and suffixes	უ.12.კ.6; უ.12.მ.3; უ.12.ლ.2; უ.12.ლ.4; უ.12.კ.1; უ.12.კ.7; უ.12.წ.3; უ.12.წ.1/გ
	<b>Revision</b>				უ.12.ს.1; უ.12.ს.2
	<b>Final test</b>				უ.12.კ.1; უ.12.კ.4; უ.12.კ.7; უ.12.წ.1 უ.12.ს.1; უ.12.ს.2

მიაწვიოს. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ ახალი მასალით დააინტერესოს მოსწავლეები, წართოს ისინი სხვადასხვა სახის აქტივობებში და ამით მათ ახალი მასალის სწავლის სურვილი გაუღვივოს.

### სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შინაარსისა და მიზნების რუკა

### სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები

სასწავლო მასალის წარდგენისას მასწავლებელმა აუცილებელია დაიცვას ქვემოთ მოცემული თანამიმდევრობა. ამაში მას წიგნის მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა ეხმარება. თითოეულ გაკვეთილში (Unit) სავარჯიშოების თანამიმდევრობა სასწავლო მასალის წარდგინების ფაზებს ემთხვევა. ეს ფაზები შემდეგია:

**ა. მოტივაცია.** კითხვის და მოსმენის სავარჯიშოებს წინ უსწრებს კითხვის ან მოსმენის წინარე სავარჯიშოები (**pre-reading; pre-listening**). ეს სავარჯიშოები მოსწავლეს აღუძრავს ინტერესს საკითხავი ან მოსასმენი მასალის მიმართ და ზრდის ახალი მასალის გაცნობის და ათვისების მოტივაციას. ამის მაგალითია წინასწარი მსჯელობა და პირადი აზრის ან ვარაუდის გამოთქმა წასაკითხი ან მოსასმენი თემის გარშემო. გაკვეთილის ეს ფაზა სასურველია მოკლე იყოს და მხოლოდ 2-3 წუთი გრძელდებოდეს.

**ბ. საკითხის დასმა/დავალების განსაზღვრა.** მოტივაციის სავარჯიშოს მოსდევს მომდევნო სავარჯიშოს ინსტრუქციის გაცნობა და იმაში გარკვევა, თუ რისი გაკეთება მოეთხოვება მოსწავლეს. ეს საკითხის დასმის და დავალების განსაზღვრის ფაზაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს ინსტრუქციის მასწავლებლისგან დამოუკიდებლად წაკითხვა და დავალების ზუსტად განსაზღვრა. გაკვეთილის ეს ფაზა ასევე ხანმოკლეა და თითოეული დავალებისთვის 1-2 წუთზე მეტი არ უნდა გრძელდებოდეს.

**გ. ძირითადი სასწავლო მასალა.** ძირითადი სასწავლო მასალა შეიძლება იყოს: კითხვის, მოსმენის, ლაპარაკის, წერის ძირითადი სავარჯიშოები, ასევე გრამატიკული და ლექსიკური მასალა. გაკვეთილის მიზანი ამ დავალებების გააზრება - შესრულებაა და, შესაბამისად, გაკვეთილის უმეტესი ნაწილი (დროის 70-80 %) მათ ეთმობა. მასწავლებელი მხოლოდ მას შემდეგ გადადის მომდევნო დავალებაზე, რაც დარწმუნდება, რომ ძირითადი სასწავლო მასალა გაიგო და დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ. ეს გაკვეთილის ის ფაზაა, როდესაც (მაგ. ტექსტის კითხვის შემთხვევაში) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, 'აღმოაჩენენ' ახალი სიტყვების მნიშვნელობას, ესმით ტექსტის დეტალები და მისი დედააზრი, ანალიზებენ და მსჯელობენ შინაარსზე. ძირითად სასწავლო მასალაზე მუშაობის დროს მასწავლებელი ასწორებს და განმარტავს შეცდომებს, ვარჯიშობს ახალ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალაზე და ა.შ. გაკვეთილის ამ ფაზის დასასრულს მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, რომ ახალი მასალა დამოუკიდებლად, ან მასწავლებლის მცირედი დახმარებით გამოიყენონ ლაპარაკისა და წერით აქტივობებში, მომავალში კი — რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

**დ. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები** ისეთი დავალებებია, როგორცაა, მაგ. (კითხვის შემთხვევაში): 1. წაკითხვა ტექსტი და კონტექსტიდან გამომდინარე შეეცადე გამოიცნო გახაზული სიტყვების მნიშვნელობა; 2. წაკითხვა ტექსტი და აბზაცებს მიუსადაგე სათაურები და ა.შ. ამ სავარჯიშოების საშუალებით მოსწავლე ეტაპობრივად ეცნობა და ეუფლება ახალ მასალას, უვითარდება ინგლისურ ენაზე კითხვის, მოსმენის, ლაპარაკისა და წერის უნარ-წყევები.

**ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები** ისეთი სავარჯიშოებია, როდესაც მოსწავლე ნასწავლ მასალას პრაქტიკაში - წერითი ან ზეპირი კომუნიკაციისთვის - იყენებს. ასეთია კითხვის და წერის შემდგომი (**post- reading; post- listening**) სავარჯიშოები. ასეთი სახის აქტივობები ამყარებს მიღებულ ცოდნას და მოსწავლეს მასალაზე დამატებითი ვარჯიშის და მისი გამეორება - განმტკიცების საშუალებას აძლევს. დამაგვირგვინებელ ეტაპზე მოსწავლე ძირითადი ლექსიკური და გრამატიკული მასალის გამოყენებით საუბრობს გარკვეულ თემაზე, კამათობს, ზეპირად ან წერილობით გადმოსცემს საკუთარ აზრს და ა.შ. ამ ფაზის დროს, რომელიც გაკვეთილის ბოლო ფაზაა, მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თავისუფლად ისაუბრონ ინგლისურად და დაამყარონ კომუნიკაცია. ამ დროს შეცდომების გასწორება მიზანშეწონილი არ არის.

**ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.** საშინაო დავალების მიცემა გაკვეთილის ბოლო ეტაპია. ეს, უმეტეს შემთხვევაში, არის სავარჯიშოების კრებულში მოცემული მასალა. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს გაკვეთილზე დრო არ რჩება მოსწავლის წიგნში მოცემული ყველა სავარჯიშოს გასაკეთებლად, შესაძლებელია, რომ ეს სავარჯიშოებიც დამოუკიდებელი სამუშაოს ნაწილი გახდეს. მთავარია, რომ მოსწავლემ დაძლიოს ის სამუშაო, რასაც მას მასწავლებელი დამოუკიდებელი სამუშაოსთვის მისცემს. ამისათვის კი სათანადო ბაზა გაკვეთილზე უნდა მომზადდეს.

### გაკვეთილის დაგეგმვა

არ არსებობს გაკვეთილის დაგეგმვის ერთი უნიფიცირებული სქემა. ყოველი გაკვეთილი ინდივიდუალური და შემოქმედებითია. გამოვყოფთ გაკვეთილის დაგეგმვის მხოლოდ ზოგად და აუცილებელ კრიტერიუმებს. მათი პრაქტიკული ხოცშესხმა ხდება კონკრეტული გაკვეთილის მასალიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს: 1. გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი კონკრეტული მიზანი ან მიზნები; 2. რომელი და რამდენი სავარჯიშოს/აქტივობის გაკეთებას გეგმავს; 3. რა დრო უნდა დაეთმოს თითოეულ სავარჯიშოს; 4. რა არის თითოეული სავარჯიშოს ან აქტივობის მიზანი; 5. **რა ძირითადი და/ან დამხმარე მასალა** სჭირდება მას; 6. რომელია კლასში სამუშაო მასალა და რომელი — სახლში, ინდივიდუალურად.

პირველი გაკვეთილის მაგალითზე წარმოგიდგინებ გაკვეთილის დაგეგმვის ცხრილს. ანალოგიურად აიგება სხვა გაკვეთილის ცხრილებიც.

### სანიმუშო გაკვეთილის სცენარი

სანიმუშო გაკვეთილის სცენარი განვიხილოთ პირველი გაკვეთილის მაგალითზე. სცენარს თან ახლავს დეტალური კომენტარები და მეთოდური რეკომენდაციები გაკვეთილის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან დაკავშირებით. ერთი გაკვეთილი (unit) ნაწილდება 3 აკადემიურ საათზე. ამგვარად, დროის თვალსაზრისით ერთი გაკვეთილი (unit) შემდეგნაირად განაწილდება: 1-4 სავარჯიშოები — 45 წუთი; 5-7 სავარჯიშოები — 45 წუთი; გრამატიკა 8-10 სავარჯიშოები — 45 წუთი. ვიმეორებთ, ეს მოქნილი სქემაა და მისი შეცვლა შესაძლებელია მოსწავლეების მოსწრების, გამოყოფილი საათების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. იხ. შემდეგი გვერდი.

**გაკვეთილის მიზნები:** დეტალური კითხვის უნარ-წყვევის განვითარება; ახალი ლექსიკური ერთეულების (travel rates; customer, full of glamour, abundance, physical disability, etc.) ათვისება და მათი ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვების გამეორება და მათი გამოყენება კომუნიკაციური მიზნებისთვის; პრეზენტაციის ტექნიკის გაცნობა.

UNIT 1

DREAM HOLIDAYS

Grammar focus: Expressing quantity



1. Read these extracts from travel agencies' brochures. Try to guess the underlined words and phrases from the context. Then decide which of the four agencies you would choose, and why?



A. With Holiday Hypermarket you will find flights, hotels and more - all at the lowest rates. We give special discounts for tours in Greece, so popular with tourists for its blend of ancient culture and fantastic holiday resorts. Ancient Greece was the centre of refined culture, science, mathematics and philosophy. Modern Greece promises warmth and hospitality from its people and a fascinating variety of interesting places to visit on its numerous beautiful islands. We also offer unique half-price guided tours for disabled. These trips, which we call On Wheels, attract thousands of travelers from all over the world. "After the standard of accommodation and travel arrangements that I experienced, I know that I can always trust you," one of our wheel-chair customers told us. Book your cheap Greek holiday online, or contact us via email for further information.

B. If you need a travel agent to help you plan your trip to India, then Eastern Travel is at your service. This is a country full of glamour, where every day is full of adventure and discoveries. Indian women, with their richly-coloured clothes and the abundance of jewellery that they wear, help to make India a photographer's paradise. So, don't forget to take your camera - you'll need it for a lot more than the Taj Mahal! Booking your flight, choosing the right hotel, planning your stay to include a variety of tours, with the best guides available - leave it all to us. Our special discounted offer is honeymoon tours for newly-married couples. Use Eastern Travel service and feel the mystery and magic behind the people and the culture of India.



Eastern Travel is a certified travel agency operating since 1955. We've served millions of people from all over the world and have always provided top quality services.

C. Caucasus-tour, an international tour operator, was founded in 1997 and since then has been recognized as one of the best-quality travel agencies for those who want to visit the Caucasus and see the stunning beauty of the highest mountains in Europe and meet friendly and open-hearted people.



We design unique group and individual trips and tours according to your interests. They include long mountain walks and climbs, rafting down swift-flowing rivers, and camping tours at altitudes of 1,200 metres and higher. And whatever your choice of tour, you can be sure of experiencing the astonishing beauty of the landscape, the excellent cuisine and the famous Caucasian hospitality. Apart from adventure trips into the mountains of Georgia, we also offer tours in Azerbaijan, Armenia, and the southern parts of Russia. Student groups of more than six can take advantage of special discounted prices. For flights, accommodation and other travel details please contact the Caucasus-tour central office in Tbilisi. Book online.

კითხვა

სავარჯიშო 1

მიზანი: ა. ტექსტის წაკითხვა და ძირითადი აზრის გაგება (global reading);

ბ. კონტექსტზე დაყრდნობით ახალი ლექსიკური ერთეულების/გახაზული სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა (reading comprehension);

ხანგრძლივობა: დაახლ. 17-20 წუთი

პროცესი: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დამოუკიდებლად წაკითხონ სავარჯიშოს ინსტრუქცია და ხმამაღლა განმარტონ, თუ რის გაკეთებას ითხოვენ მათგან. მოსწავლეები იწყებენ ტექსტის ზედა კითხვას. მასწავლებელი დროს აკონტროლებს; იგი ამავე დროს აკონტროლებს იმასაც, რომ კითხვის პროცესში თანაბრად ღირსეული იყოს ძლიერი და სუსტი მოსწავლე. შესაძლებელია, რომ იგი სუსტ მოსწავლეებს ტექსტის შინაარსის გაგებაში გარკვეულწილად დაეხმაროს კიდევ (პერიოდულად მივიდეს მათთან და განუმარტოს ზოგი სიტყვა ან ფრაზა). დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რამდენად კარგად გაიგეს მათ ტექსტი, რამდენად მიხვდნენ გახაზული სიტყვების მნიშვნელობას, და თუ რამდენად დაეხმარა მათ ამაში კონტექსტი. მსჯელობა გრძელდება კიდევ 7-8 წუთი. ამის შემდეგ მოსწავლეები განმეორებენ კითხვობენ ტექსტს და/ან მის ცალკეულ ნაწილებს. მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ამ სავარჯიშოს განსხვავებული დროის მონაკვეთში გააკეთებენ; ზოგი უფრო ნელა, ზოგიც — უფრო სწრაფად. დროთა განმავლობაში ეს განსხვავება მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

სავარჯიშო 2

მიზანი: შერჩევითი კითხვის უნარ-წყვევის განვითარება (reading for details)

ხანგრძლივობა: დაახლ. 10-12 წუთი

პროცესი: მოსწავლეები ინსტრუქციას კითხვობენ დამოუკიდებლად. მათ შეკითხვებზე პასუხები აუცილებლად ტექსტში უნდა მოძებნონ. ეს სავარჯიშო მოსწავლეებში აწვითარებს შერჩევითი კითხვის, ანუ მოცემულ ტექსტში საჭირო ინფორმაციის სწრაფად პოვნის უნარს. ეს მიზანი ვერ მიიღწევა, თუ მოსწავლეები შეეცდებიან, რომ შეკითხვებს პასუხები ზეპირად, მეხსიერებაზე დაყრდნობით, გასცენ. მასწავლებელი მოსწავლეებს დროის ლიმიტს ახსენებს. როდესაც ჯგუფი მზადაა, მასწავლებელი მასწავლებლის წიგნიდან ხმამაღლა კითხვობს სწორ პასუხებს. მოსწავლეები ითვლიან, თუ რამდენი საკითხი გააკეთეს სწორად. მაგ. 10 საკითხიდან სწორი პასუხი გასცეს 6 ან 7 კითხვას (self-assessment). სწორ პასუხებზე (არა შეცდომებზე) ორიენტირება მოსწავლეებს მეტ სტიმულს აძლევს. შეცდომების შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტში იმ მონაკვეთის მოძებნაში ეხმარება, სადაც სწორი პასუხია მოცემული.

სავარჯიშო 3

მიზანი: შერჩევითი კითხვის უნარ-წყვევის განვითარება (selective reading)

ხანგრძლივობა: დაახლ. 10-12 წუთი

პროცესი: მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ეს სავარჯიშოც ტექსტზე (და არა მეხსიერებაზე) დაყრდნობით უნდა გაკეთდეს. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად. ისინი ტექსტში ეძებენ იმ ინფორმაციას, რის მიხედვითაც მოცემულ დებულებებს მიუსადაგებენ ტექსტში მოცემულს. მათ ამის შესახებ შესაძლებელია წყვილებად იმსჯელონ. ეს სავარჯიშო ტექსტის ძირითადი აზრის გაგებაზე ორიენტირებული და მოსწავლეებში გლობალური კითხვის უნარს ავითარებს. როდესაც სავარჯიშოზე მუშაობა დასრულებულია, მასწავლებელი მასწავლებლის წიგნიდან კითხვობს პასუხებს. შეცდომების შემთხვევაში მოსწავლეები ეძებენ და ხმამაღლა კითხვობენ ტექსტის ის მონაკვეთს, რომელიც პასუხის სისწორეს დაასაბუთებს. ტექსტის მონაკვეთების ხმამაღლა წაკითხვის მიზანი სწორი წარმოთქმის შემოწმებაც არის. ეს ბოლო ეტაპი (პასუხების შემოწმება) მასწავლებელმა სწრაფად უნდა გაიაროს.



D.

**Travel Land** invites you on a fascinating holiday trip to the French Disneyland. Disneyland Paris is a recreation resort in Marn-la-Vallee, a new town to the east of Paris and 32 kms from the centre. Opened in 1992, this was the second Disneyland – after the one in Tokyo – outside the United States. With over 13 million visitors every year, nowadays Disneyland Paris is one of Europe's leading tourist attractions. Magic combined with fantasy, dreams combined with reality, world famous cartoon characters and fairy tale heroes in colourful costumes... you will find all this at Disneyland Paris. We will reserve a hotel and rent a car for you. Our vacation package includes visits to two parks and an entertainment area with roller coasters, the Fairy Tale heroes Parade and much more. Entrance is half price for families with kids under 10! Don't think twice - make your and your family's holidays special! Book online.

1 UNIT



2. Go through the texts again. In which advertisements can you find answers to the questions below?

Which travel agency...	A	B	C	D	all
1. is more than fifty years old?		Y			
2. organizes tours for people with physical problems?					
3. organizes camping tours?					
4. Does not book your flight online?					
5. has tours for people who have just married?					
6. offers discounts to a particular group of people?					
7. offers tours to a country in Asia?					
8. has special rates for children?					



3. Which agency from the texts above might use each of these phrases in their advertisements? Write the name of the agency next to each phrase. Two phrases are extra.

- Holidays at fantastic resorts! .....
- Where reality meets fiction! .....
- Free walking tours for kids under 10! .....
- Special Caucasus tours for the disabled! .....
- Adventure tours at great heights! .....
- Every young couple's choice of holiday! .....

Vocabulary in Context



4. Read these words and the phrases. Then find their English equivalents among the underlined words in the texts above. Compare your answers with your friend's.

<ol style="list-style-type: none"> <li>დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კურორტი - <u>recreation resort</u></li> <li>დახვეწილი კულტურა</li> <li>სასტუმროს დაჯავშნა</li> <li>დიდებით საცხ</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>მგზავრობის ნახრი (ფასები)</li> <li>უნარმშლელული</li> <li>სიმაღლე (წლის დონიდან)</li> <li>მომხმარებელი, კლიენტი</li> </ol>
--	--

კონტექსტუალური ლექსიკა  
სავარჯიშო 4

მიზანი: ახალ ლექსიკაზე მუშაობა (vocabulary practice)

ხანგრძლივობა: დაახლ. 10-12 წუთი

**პროცესი:** მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ იწყება ვარჯიში ახალ სიტყვებზე და ფრაზებზე. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მე-5 და მე-6 სავარჯიშოებში მოცემული ყოველი სიტყვა და ფრაზა ტექსტშია გამოყენებული (ზოგი გახაზულია, ზოგიც - არა) და რომ მათ ისევ მოუწევთ ტექსტის გადაკითხვა. მოსწავლეები სავარჯიშოს ინსტრუქციას ყურადღებით კითხულობენ და იწყებენ ტექსტში შესაბამისი ინგლისური სიტყვების და სიტყვათშეთანხმებების მოძებნას. სანამ მასწავლებელი სწორ პასუხებს წაიკითხავს, შესაძლებელია, მოსწავლეებმა პასუხები ერთმანეთში გადაამონმონ (**peer correction**) და მათ შესახებ წყვილებში იმსჯელონ. იმ შემთხვევაში, თუ დრო დაგრძათ, სასურველია, მასწავლებელმა ახალ ლექსიკაზე მსჯელობა გააგრძელოს და მოსწავლეებს სთხოვოს ახალ სიტყვებზე და ფრაზებზე თავიანთი წინადადებები მოიგონონ. წინადადებებს მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ და მსჯელობენ მათ შესახებ.

სავარჯიშო 5

მიზანი: ახალ ლექსიკაზე მუშაობა (vocabulary practice)

ხანგრძლივობა: დაახლ. 10-12 წუთი

**პროცესი:** ეს სავარჯიშო მოსწავლეებს კონტექსტუალურ ლექსიკაზე მუშაობის საშუალებას აძლევს. იგი გარკვეულწილად აერთიანებს წაკითხულის გააზრებას და ლექსიკაზე მუშაობას და მოსწავლეებს ახალი ლექსიკური ერთეულების სწორ კონტექსტში გამოყენების საშუალებას აძლევს. მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მასწავლებელი კითხულობს პასუხებს. ჯგუფი ერთად მსჯელობს შეცდომებზე.

მოსმენა

სავარჯიშო 6

მიზანი: მოსმენის უნარ-ცეცვის განვითარება. მოსმენა კონკრეტული ინფორმაციისათვის (**listening comprehension/listening for details**).

ხანგრძლივობა: დაახლ. 10-12 წუთი

**პროცესი:** მასწავლებელი 2-3 შეკითხვით აზუსტებს, თუ რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა სავარჯიშოს პირობა. მოსწავლეებს ეძლევათ 1-2 წუთი იმისათვის, რომ მათ გადახედონ მოცემულ არასრულ ტექსტს. მასწავლებელი რთავს კომპაქტ დისკს. მოსწავლეები ტექსტს ავსებენ გამოტოვებული ინფორმაციით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა დავალება შეასრულონ ტექსტის მოსმენის პროცესში და არა მოსმენის შემდეგ, ანუ მეხსიერებაზე დაყრდნობით. მასწავლებელი მეორედ ასმენინებს მოსწავლეებს ჴანანერს, რითაც იგი მათ პასუხების გადამონმების საშუალებას აძლევს. მასწავლებელმა ჴანანერის მოსმენის ტექნიკა ძალიან არ უნდა გაამარტივოს, მაგ. არ არის მოზანშენონილი ჴანანერის ბევრჯერ გამეორება. ეს მოსასმენი მასალას ბუნებრიობას უკარგავს. ტექნიკის არარსებობის შემთხვევაში ტექსტი თვითონ მასწავლებელმა უნდა წააკითხოს, ან წააკითხოს იმ მოსწავლეს, რომელსაც კარგი დიქცია და წარმოთქმა აქვს. სანამ მასწავლებელი სწორ პასუხებს წაიკითხავდეს, შესაძლებელია მოსწავლეებმა პასუხები ჯერ ერთმანეთში გადაამონმონ (**peer correction**). დაუშვებლად მიგვაჴნია წიგნში მოცემული მოსმენის სავარჯიშოების გამოტოვება, ან მათთვის არასათანადო დროის და ყურადღების დათმობა. მოსმენის უნარ-ცეცვის განვითარებას რეგულარული ვარჯიში და დრო სჭირდება. გარდა მოსმენის უნარ-ცეცვისა, მოსასმენი სავარჯიშოები მოსწავლეებში ბუნებრივად ავითარებს კარგ წარმოთქმას და მათ სწორ ბგერებზე, მახვილზე, ინტონაციაზე და რიტმზე ავარჯიშებს.



5. Read the text and fill the gaps with the words or phrases given. Two words are extra.  
 altitude book customer design disabilities online rafting rates  
 resort service website  
 Need a travel agent to help you plan your vacation and weekend (1) getaway? Then Western Travel is at your  
 \_\_\_\_\_ (2). We offer fascinating holidays in the Alps. We \_\_\_\_\_ (3) individual trips according  
 to your interests. These include: long mountain walks, \_\_\_\_\_ (4) on speedy rivers, camping tours at  
 an \_\_\_\_\_ (5) of 1,500 metres and many, many more. We can \_\_\_\_\_ (6) your hotel and we also  
 guarantee the best travel \_\_\_\_\_ (7). Special tours are organized for people with certain \_\_\_\_\_  
 (8). Don't think travel Book \_\_\_\_\_ (9) now.



6. Listen to an advertisement for a travel agency and fill in the missing information below. In each gap you should  
 insert up to three words maximum.  
 The name of the travel agency is Fun Travel (1).  
 Fun Travel organizes tours to \_\_\_\_\_ (2).  
 The length of the tours is \_\_\_\_\_ (3).  
 The most interesting sites visited are \_\_\_\_\_ (4) and \_\_\_\_\_ (5).  
 There are special offers for tours to \_\_\_\_\_ (6) and \_\_\_\_\_ (7).  
 The \_\_\_\_\_ (8) is free for the disabled \_\_\_\_\_.  
 Fun Travel started operating in \_\_\_\_\_ (9).  
 Fun Travel has had more than \_\_\_\_\_ (10) customers.

Grammar: Expressing quantity

There are several ways of expressing quantity in English. Let's have a look at some of them.

A lot of or lots of are used in the affirmative with countables and uncountables:  
 There are a lot of/lots of pine trees in Borjomi park.  
 There is no difference in meaning or use between these phrases. But today the slightly more familiar lots of is tending  
 to replace a lot of in all contexts.

Many (with countables) and much (with uncountables) are mostly used in questions and negations. They can also be  
 used in the affirmative in formal English:  
How many travel agencies are there?  
 You don't need much money to go to Svaneti.  
Many people can't afford to travel nowadays.

Many and much are used after so: There were so many people in the park that there was nowhere to sit.

A few (with countables) and a little (with uncountables) mean 'some' (ცოტაოდენი).  
 (Very) few and (very) little mean 'not enough' (ცოტა არასაკმარისი):  
 I need a few eggs and a little matsoni to make khachapuri./ There are very few eggs and very little matsoni. We  
 need to buy some more.

7. Read the grammar rules again for the words expressing quantity and fill in the grid below.

	countables	uncountables
positive	a lot of / lots of	.....
interrogative	.....	much
negative	many	.....
positive	.....	(a) little

**გრამატიკა**  
**მიზანი:** წინა წლებში ნასწავლი გრამატიკული მასალის (words expressing quantity) გამეორება-გამყარება.  
**ხანგრძლივობა:** დაახლ. 8-10 წუთი  
**პროცესი:** მოსწავლეები რიგ-რიგობით ხმამაღლა კითხულობენ გრამატიკულ მასალას. მასწავლებელი  
 პერიოდულად განმარტავს საკითხს. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია მშობლიური ენის გამოყენება.  
 გრამატიკული მასალა მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ ორი მიზეზის გამო: 1. მოცემულ მაგალითებზე  
 დაკვირვების შედეგად დასკვნის გამოტანა ინდუქციური გზით არის შესაძლებელი; 2. გრამატიკული  
 მასალა იმეორებს წინა წლებში ნასწავლს (recycling). თვალსაზრისით მისი მიზანშეწონილია დაფის  
 გამოყენება.

**სავარჯიშო 7**  
**მიზანი:** მსგავსება-განსხვავება a lot of / lots of / many / much / (a) few / (a) little-ის შორის. წინა წლებში  
 ნასწავლი მასალის გამეორება (recycling)  
**ხანგრძლივობა:** დაახლ. 7-10 წუთი  
**პროცესი:** მოსწავლეები გრამატიკულ მასალაზე და ნიმუშზე დაყრდნობით აკეთებენ დავალებას.  
 მასწავლებელი სუსტ მოსწავლეებს დამატებით განმარტებებს აძლევს. სავარჯიშოსათვის გამოყოფილი  
 დროის გასვლის შემდეგ მოსწავლეები კითხულობს პასუხებს. შეცდომების შემთხვევაში ჯგუფი ერთად  
 მსჯელობს. რთული შემთხვევების დროს მსჯელობაში მასწავლებელი ერევა და მოსწავლეებს ცალსახა  
 განმარტებებს აძლევს. ეს, ისევე როგორც მომდევნო სავარჯიშო, მოსწავლეებს გრამატიკული წესების  
 ცოდნაში და მათ სწორ გამოყენებაში (accuracy) ავარჯიშებს.

**ლაპარაკი**  
**სავარჯიშო 9**  
**მიზანი:** პრეზენტაციის ცნების შემოტანა და პრეზენტაციის გაკეთების ტექნიკის გაცნობა.  
**ხანგრძლივობა:** 12-15 წუთი  
**პროცესი:** ეს სავარჯიშო საფუძველს უყრის გაკვეთილზე მინი-პრეზენტაციების გაკეთებას.  
 ინდივიდუალური პრეზენტაციების გაკეთება მოსწავლეებს ყოველ მეორე გაკვეთილში მოეთხოვებათ.  
 ამას კი სწორედ პირველ გაკვეთილზე უნდა ჰქონდეთ საფუძველი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ  
 მასწავლებელმა თვითონაც კარგად შეისწავლოს ეს საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს  
 გაკვეთილზე მსჯელობის საგნად. მოსწავლეები რიგ-რიგობით კითხულობენ ჯერ პრეზენტაციის  
 განმარტებას, ხოლო შემდეგ კარგი პრეზენტაციის მახასიათებლებს (tips for good presentation) და  
 მსჯელობენ თითოეულ მათგანზე. ბოლოს მოსწავლეები მცირე ჯგუფებად მსჯელობენ იმაზე, თუ რა  
 შეიძლება დაემატოს კარგი პრეზენტაციის მახასიათებლების ჰამონათვალს. საბოლოოდ ეს შეიძლება  
 მთლიანი ჯგუფის მსჯელობაში გადაიზარდოს და ყველა ერთად შეთანხმდეს ერთ დამატებით  
 კრიტერიუმზე. ასევე უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ პრეზენტაციების გაკეთების შემთხვევაში ისინი ამ  
 კრიტერიუმებს დაიცავდნენ.

**წერა**  
**სავარჯიშო 10**  
**მიზნები:** ა. წინა წელს ნასწავლი პარაგრაფის (აბზაცის) წერის ტექნიკის გამეორება; ბ.  
 არგუმენტირებულად წერის უნარ-წყვევის განმტკიცება.  
**ხანგრძლივობა:** 12-15 წუთი  
**პროცესი:** სანამ მოსწავლეები წერას დაიწყებდნენ, მასწავლებელი მათ ახსენებს აბზაცის წერის  
 ტექნიკას, რაც მათ მე-11 კლასში ისწავლეს. შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ რწმუნდება იმაში,  
 რომ მოსწავლეებმა დავალების მოთხოვნა კარგად გაიგეს (მოსწავლეებს უსვამს ისეთი სახის შეკითხვებს,  
 როგორცაა, მაგ. What is the main topic of the writing task? How many and what arguments are you going to  
 give? Where do you prefer to travel?). იგი ასევე ახსენებს მოსწავლეებს, რომ სიტყვების რაოდენობა უნდა  
 მერყეობდეს 110-120 სიტყვას შორის.  
 იმ შემთხვევაში, თუ დრო დარჩება, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ დასმული  
 საკითხის გარშემო და ეძებონ არგუმენტები თავიანთი პოზიციების/აზრების გასამყარებლად.

**B. Underline the correct choice. One example is given.**

1. It'll definitely rain. There are a lot of / few / many clouds in the sky.
2. We are losing clients this year. So a little / a few / few of them have asked for our services.
3. There is too little / a little / few snow here to ski. Let's go somewhere else.
4. Lots of / Many / Much travel agencies offer trips to the Mediterranean resorts nowadays.
5. There are many / a lot of / few cherry trees in the centre of Washington DC.
6. Many / Lots of / A few people can't find jobs nowadays.
7. Climbers had so a little / little / a few water left that they started to look for spring somewhere.
8. There are so lots of / a few / many stray dogs in the streets that they might cause trouble.



Speaking

B.

From the next unit you will have to prepare and give small presentations during the lesson. Before doing so, let's learn what a presentation is and what makes a presentation good.

**What is a presentation?**

A presentation is a speech on a certain topic made in front of public. It can last from 2 minutes to 1 hour and more. The number of people listening to a presentation can also vary from 3-4 people to one hundred and more.

**What are the tips for a good presentation?**

- Tip 1 Prepare your speech well and practise it beforehand.
- Tip 2 Be original from the start, so that you can hold your listeners' attention.
- Tip 3 Have notes prepared and use them occasionally when you speak.
- Tip 4 Be confident. Establish eye contact from the very beginning.
- Tip 5 Be specific. Speak to the point. Use facts and details.
- Tip 6 Don't panic! Relax! Use some humour!
- Tip 7 Keep to the time limit.
